

შპს ანტე

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	4
1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	5
4. შემოსავალი	7
5. მიწოდების და მომსახურების ხარჯები	7
6. ძირითადი საშუალებები	9
7. მარაგები	9
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9
9. ფული და ფულის ეკვივალენტები	10
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10
11. სესხები	10
12. დაკავშირებული მხარეები	11
13. პერიოდის შემდგომი მოვლენები	11

შპს ანტე
 მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 თანხები წარმოდგენილია ლარში

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი	4	1,827,988	1,094,688
თვითღირებულება რეალიზებული პროდუქციის		(244,286)	(684,775)
საერთო მოგება		1,583,702	409,913
მიწოდების, მომსახურების ხარჯების და საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(1,755,007)	(523,355)
საოპერაციო მოგება		(171,305)	(113,442)
ზარალი		(171,305)	(113,442)
მოგების გადასახადი		-	(150)
წმინდა მოგება/ზარალი		(171,305)	(113,592)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 28 სექტემბერს.


 დირექტორი
 მაია ჯიმშელაიშვილი

შპს ანტე
მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები	6	0	1,542,800
სულ გრძელვადიანი აქტივი		0	1,542,800
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	32,783	295,717
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	58,230	39,084
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	1,919	14,829
სულ მიმდინარე აქტივები		92,932	349,630
სულ აქტივები		92,932	1,892,430
საკუთარი კაპიტალი		1220130	1220130
გაუნაწილებელი მოგება		-1130101	-958796
სულ კაპიტალი		90,029	261,334
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	2,633	14,652
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
სესხები	11	270	1,593,657
მიმდინარე ვალდებულებები		2,903	1,608,309
სულ ვალდებულებები		2,903	1,608,309
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		92,932	1,869,643

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 28 სექტემბერს.


დირექტორი
მაია ჯიმშელაძე

შპს ანტე

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს ანტე (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2006 წლის 19 აპრილს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 205145582.

ძირითადი საქმიანობა. 2023 მარტის ჩათვლით შპს ანტე ახორციელებდა მის ძირითად საქმიანობას -საცალო ვაჭრობას დეკორატიული და საოჯახო ნივთებით, სანათებით, ავეჯით, იმ დროისთვის შპს ანტე-ს იურიდიულ მისამართზე და საქმიანობის ადგილზე: თბილისი, მცხეთის ქ.#1.

კომპანიის მეწილეები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არიან: ჯიმშელიშვილი მაია - 40%, ქელბაქიანი გიორგი - 30%, ქელბაქიანი შალვა - 30%.

ვინაიდან კომპანიამ ვერ გაუძლო ბაზარზე არსებულ კონკურენციას და არსებული მცირე შემოსავლებით ვერ ფარავდა როგორც მიმდინარე ხარჯებს ასევე საკრედიტო დავალიანებას, შპს ანტე-მ ჯერ დროებით შეაჩერა მუშაობა ახალი მიმართულების დაგეგმარების მიზნით და გამოუვალ მიმდინარეობის გამო 2023 წლის დეკემბრის თვეში დავალიანებების (კრედიტების, საბიუჯეტო დავალიანება, დავალიანება დამფუძნებლების მიმართ) გადაწერის სანაცვლოდ, გადაცა მის მფლობელობაში არსებული შპს ივნიელი-ს (ს.კ. 405628325) 100%-იანი წილი გიორგი ქელბაქიანს პ/ნ 01024007097.

2. მომზადების საფუძველი. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) საფუძველზე. 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად პირველად მოხდა მსს ფასს-ის გამოყენება. აღნიშნულ სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. ეს ვერსია გამოყენებულია 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და შემდგომ პერიოდებში - მსს ფასს საანგარიშო პერიოდის ბოლომდე. მსს ფასს-ის ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს კომპანიას არ გაუკეთებია რაიმე სახის კორექტირება, გამომდინარე იქიდან, რომ მსს ფასს-ზე გადასვლას არ ჰქონია არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

კომპანიის საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ლარში.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძველად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი.

ფუნქციონირებადი საწარმოს დამზება

ანგარიშგება მომზადებულია არაფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის შპს ანტე-ს მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიას ასევე გააჩნია უცხოურ ვალუტაში ოპერაციები, რომელიც განხორციელებულია საქონლის იმპორტისთვის.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან საქონლის მიყიდვის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები.

ძირითადი საშუალებები.

• აღიარება და შეფასება. ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით.

• **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხდება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე.

ძირითადი საშუალებების ცვეთის კოეფიციენტებია:

ჯგუფი	ცვეთის კოეფიციენტები
უძრავი ქონება - მაღაზიის ფართი	5%
ოფისის აღჭურვილობა	20%



მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით.

თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

ფინანსური ვალდებულებები - ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად. გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

შპს ანტე
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ლარში

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

4 შემოსავლები

	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	184,780	786,600
შემოსავალი იჯარიდან	847	5,085
საკურსო სხვაობა	0	293,792
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	1,642,361	9,211
ჯამი	1827988	1094688

5 მიწოდების, მომსახურების და საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
რეკლამის ხარჯი	4,075	5,721
დაცვა-სიგნალიზაციის ხარჯი	381	915
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	5,624	11,881
ბანკის მომსახურების ხარჯი	15,691	23,165
ხელფასი	66,934	229,606
საპენსიო ხარჯი	1,085	3,672
ცვეთის ხარჯი	75,485	80,402
საგადასახადო ხარჯი	15,788	-
სესხზე დარიცხული პროცენტის ხარჯი	79,338	118,871
სხვა ხარჯი	24,954	49,123
ძირ.საშუალების რეალიზაცია	1,465,652	-
ჯამი	1,755,007	523,355

შპს ანტე

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში

6 ძირითადი საშუალებები

	მადაზიის დარბაზი	ოფისის აღჭურვილობა	სულ
თვითღირებულება			
ნაშთი 1 იანვარი 2022	1,825,372	53,331	1,878,703
დამატება 2022	-	8,114	8,114
ჩამოწერა 2022	-	(280)	(280)
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	1,825,372	61,165	1,886,537
დამატება 2023	-	-	-
ჩამოწერა 2023	(1,436,834)	(30,244)	(1,467,078)
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2022	242,364	21,357	263,721
წლის დარიცხვა 2022	74,961	5,441	80,402
წლის შემცირება 2022	-	(149)	(149)
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2022	317,325	26,649	343,974
წლის დარიცხვა 2023	71,213	4,272	75,485
წლის შემცირება 2023	(388,538)	(30,921)	(419,459)
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2023	-	-	-
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2022	1,508,047	34,516	1,542,563
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2023	0	0	0

7 მარაგი

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მარაგი	32783	272656
სხვა	0	274
სულ	32783	272930

8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო მოთხოვნები	55930	36784
გაცემული ავანსები და სესხები	2300	2300
სულ	58230	39084

შპს ანტე

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში

9 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნაღდი ფული	0	5640
ფული ბანკში	1919	9189
სულ	1919	14829

10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო ვალდებულებები	500	14652
იჯარა	0	0
სხვა ვალდებულებები	2133	0
სულ	2633	14652

11 სესხები

სესხი ბანკიდან

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2021
მსესხებელი		
სს პროკრედიტ ბანკი	0	1,766,263
	0	1,766,263

სესხი მესაკუთრეებისგან

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მსესხებელი		
მაია ჯიმშელიშვილი	270	260,114
შალვა ქებაქიანი	0	80,347
გიორგი ქელბაქიანი	0	79,906
	270	294,067
სულ სესხი:	270	2,060,330

კომპანიის განვითარებისთვის 2019 წ. მარტის თვეში შეძენილი იქნა კომერციული ფართი მაღაზიისთვის, რისთვისაც აღებული იყო კრედიტი სს პროკრედიტ ბანკიდან და ასევე განხორციელდა დამფუძნებლების მიერ თანხის შენატანი როგორც სესხის სახით, ასევე თანხის შენატანით - საწესდებო კაპიტალის გაზრდა.

12. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის მიერ 2023 წლის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეზე, კერძოდ, დირექტორზე გადახდილმა ხელფასმა შეადგინა 18736 ლარი.

13. პერიოდის შემდგომი მოვლენები

ჯერ კოვიდ-19 ის პანდემია, შემდგომ უკრაინაში ომმა, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ უარყოფითად იმოქმედა ქვეყნის ეკონომიკაზე და რის შედეგადაც, ბიზნესის ყველა დარგი გამოწვევების წინაშე დადგა. ამ ვითარებამ და ბაზარზე მსგავსი ტიპის მრავალი სავაჭრო ობიექტების გამოჩენამ უარყოფითად იმოქმედა ჩვენს კომპანიაზეც. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ცდილობდა სარეკლამო და მარკეტინგული ღონისძიებებით მყიდველების მოზიდვას, შემოსავლებმა ინდენად დაიკლო, რომ კომპანია ვერ გაუმკლავდა მიმდინარე ხარჯების და საკრედიტო დავალიანებების გასტუმრება. ამდენად, კრედიტების, სესხების და საბიუჯეტო დავალიანებების დაფარვის მიზნით, კომპანიამ 2023 წლის დეკემბრის თვეში დავალიანების გადაწერის სანაცვლოდ, გადასცა მის მფლობელობაში არსებული შპს ივნიელი-ს (ს.კ. 405628325) 100%-იანი წილი გიორგი ქელბაქიანს პ/ნ 01024007097.